აკადემიური საბჭო

დადგენილება № 09-04

გორი 22 01 2016წ.

სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პროფესორის ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსთან დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების, აკადემიური საბჭოს 2016 წლის 08 იანვრის N09-03 დადგენილებისა და რექტორის 2015 წლის 03 დეკემბრის N1-75 ბრძანების საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პროფესორის ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად რექტორის 2015 წლის 03 დეკემბრის N1-75 ბრძანებით გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტების განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევების დადგენის მიზნით, რექტორის 2015 წლის 03 დეკემბრის N1-75 ბრძანებით განსაზღვრულ დარგების/ქვედარგების მიხედვით, დამტკიცდეს სპეციალისტთა შემადგენლობა:

ა) განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი:
ა.ა) ინფორმაციული ტექნოლოგიები - თამარ მაკასარაშვილი;
ა.ბ) წმინდა მათემატიკა - ზურა ზერაკიძე;
ა.გ) ბიოლოგია - გურამ ალექსიძე;
ა.დ) ქართული ფილოლოგია - სოსო სიგუა.

ბ) ჰუმანიტარული ფაკულტეტი:
ბ.ა) ქართული ლიტერატურის ისტორია - სოსო სიგუა;
ბ.ბ) ქართველური ენათმეცნიერება - გიორგი გოგოლაშვილი;
ბ.გ) ინგლისური ფილოლოგია - თამარ არაბული;
ბ.დ) საქართველოს ისტორია - ელდარ მამისთვალიშვილი.

გ) სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი:
გ.ა) ფილოსოფია - თეიმურაზ მთიბელაშვილი;
გ.ბ) ჟურნალისტიკა - სოსო სიგუა;
გ.გ) ქართული ფილოლოგია - გიორგი გოგოლაშვილი;
გ.დ) მათემატიკა - ზურა ზერაკიძე.

2. ეთხოვოთ წინამდებარე დადგენილების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირებს კონკურსანტების განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევების შეფასება და სათანადო დასკვნის წარმოდგენა არაუგვიანეს 2016 წლის 27 იანვრისა;

3. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პროფესორის ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად რექტორის 2015 წლის 03 დეკემბრის N1-75 ბრძანებით გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტების განსაკუთრებული პროფესიული მიღწევების დადგენის მიზნით, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანებმა ან/და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენა არაუგვიანეს 2016 წლის 27 იანვრისა;

4. კანცელარიის გამგემ უზრუნველყოს კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადაცემა წინამდებარე დადგენილებაში მითითებულ დაინტერესებულ პირთათვის;

5. ეს დადგენილება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით;

6. ამ დადგენილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (თბილისი, უზნაძის #52), შემდეგ გორის რაიონულ სასამართლოში (გორი, ჯორბენაძის #30).

რექტორი გიორგი სოსიაშვილი